

დარჩენილი დრო 0:44:35

დამალე

კითხვა **1**

ჯერ პასუხაუცემელი

გამონაგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სითხე ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. ფიზიკურ სხეულს, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგება საკუთარი მოცულობის შეცვლას და სუსტად ეწინააღმდეგება ფორმის შეცვლას
- ☐ b. ფიზიკურ სხეულს, რომელიც სუსტად ეწინააღმდეგება საკუთარი მოცულობის შეცვლას და ძლიერ ეწინააღმდეგება ფორმის შეცვლას
- ☐ c. ფიზიკურ სხეულს, რომელიც სუსტად ეწინააღმდეგება საკუთარი მოცულობის და ფორმის შეცვლას
- ☐ d. ფიზიკურ სხეულს, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგება საკუთარი მოცულობის და ფორმის შეცვლას

კითხვა **2**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

განვსაზღვროთ ჰაერის წნევა პასკალებში, თუ ჰაერის ტემპერატურაა $15\text{ }^{\circ}\text{C}$, კუთრი წონა $\gamma = 12,26\text{ ნ/მ}^3$. $R = 287\text{ ჯ/(კგ}^{\circ}\text{K)}$

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. $1,03 \cdot 10^3\text{ პა}$
- ☐ b. $1,03 \cdot 10^5\text{ პა}$
- ☐ c. $1,05 \cdot 10^{10}\text{ პა}$
- ☐ d. $1,03 \cdot 10^{12}\text{ პა}$

კითხვა **3**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

განვსაზღვროთ აბსოლუტური წნევა წყლით შევსებული ჭურჭლის ფსკერზე. ჭურჭელი თავლიაა და თავისუფალ ზედაპირზე წნევა ატმოსფერულია. წყლის სიღრმე ჭურჭელში $h = 0,6\text{ მ}$.

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. 6 ატ
- ☐ b. 102568 ნ/მ^2
- ☐ c. 1,06 ატ
- ☐ d. 0,06 ატ

კითხვა **4**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონაგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დახშულ რეზერვუარში წყლის თავისუფალ ზედაპირზე მოქმედებს გაიშვიათებული წნევა p_0 , რომელიც $0,7 \text{ კგძ/სმ}^2$ -ის ტოლია. განვსაზღვროთ ვაკუუმეტრული სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე.

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. 20მ
- ☐ b. 5მ
- ☐ c. 15მ
- ☐ d. 1მ

კითხვა **5**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v2 (latest)

სითხის წონასწორობის (ეილერის) განტოლებათა სისტემას აქვს სახე:

აირჩიეთ ერთი:

☐ a.
$$X + \frac{1}{\rho} \frac{dp}{dX} = 0$$
$$Y + \frac{1}{\rho} \frac{dp}{dY} = 0$$
$$Z + \frac{1}{\rho} \frac{dp}{dZ} = 0$$

☐ b.
$$X - \frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial x} = 0$$
$$Y - \frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial y} = 0$$
$$Z - \frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial z} = 0$$

☐ c.
$$X - \frac{1}{\rho} \frac{du}{dX} = 0$$
$$Y - \frac{1}{\rho} \frac{du}{dY} = 0$$
$$Z - \frac{1}{\rho} \frac{du}{dZ} = 0$$

☐ d.
$$X - \frac{1}{\rho} \frac{dp}{dx} = \text{const}$$
$$Y - \frac{1}{\rho} \frac{dp}{dy} = \text{const}$$
$$Z - \frac{1}{\rho} \frac{dp}{dz} = \text{const}$$

კითხვა **6**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

აირის სიმკვრივე:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. წვეთოვანი სითხისგან განსხვავებით ცვლადი სიდიდეა
- ☐ b. ისევე როგორც წვეთოვან სითხეებში, ცვლადი სიდიდეა
- ☐ c. ისევე როგორც წვეთოვან სითხეებში, მუდმივი სიდიდეა
- ☐ d. დამოკიდებულია აირის რაობაზე.

კითხვა **7**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v2 (latest)

უკუმშვადი სითხის უწყვეტობის განტოლებას აქვს სახე:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. $\frac{\partial u_x}{\partial p_x} + \frac{\partial u_y}{\partial p_y} + \frac{\partial u_z}{\partial p_z} = 0$
- ☐ b. $\frac{\partial u_x}{\partial y} + \frac{\partial u_z}{\partial x} + \frac{\partial u_y}{\partial z} = 0$
- ☐ c. $\frac{\partial \rho_x}{\partial u_x} + \frac{\partial \rho_y}{\partial u_y} + \frac{\partial \rho_z}{\partial u_z} = 0$
- ☐ d. $\frac{\partial u_x}{\partial x} + \frac{\partial u_y}{\partial y} + \frac{\partial u_z}{\partial z} = 0$

კითხვა 8

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

გრიგალური ზონარი ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. პოტენციალური მილაკების ერთობლიობას
- ☐ b. ელემენტარული ჭავლების ერთობლიობას
- ☐ c. გრიგალური მილაკების ერთობლიობას
- ☐ d. კინეტიკური მილაკების ერთობლიობას

კითხვა 9

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v2 (latest)

დავადგინოთ სითხის მოძრაობის რეჟიმი წრიული განივკვეთის მილში შემდეგი პირობებისათვის $u = 500$ სმ/წმ; $D = 500$ მმ; $\nu = 0,01 \cdot 10^{-4}$ მ²/წმ.

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. ჭავლური
- ☐ b. ტურბულენტური
- ☐ c. ლამინარული
- ☐ d. გრიგალური

კითხვა **10**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

წრიული კვეთის მილებისათვის რეინოლდსის რიცხვის კრიტიკული მნიშვნელობაა:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. 1200
- ☐ b. 3000
- ☐ c. 2300
- ☐ d. 1700

კითხვა **11**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v2 (latest)

ბერნულის განტოლებას რეალური სითხის ჭავლისათვის აქვს სახე:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a.
$$z_2 + \frac{p_1}{\rho} + \frac{u_1^2}{2g} = z_1 + \frac{p_2}{\rho} + \frac{u_2^2}{2g}$$
- ☐ b.
$$z_1 + \frac{p_1}{\rho} + \frac{av_1^2}{2g} = z_2 + \frac{p_2}{\rho} + \frac{av_2^2}{2g} + h_{\text{loss}}$$
- ☐ c.
$$z_1 + \frac{p_1}{\gamma} + \frac{u_1^2}{2g} = z_2 + \frac{p_2}{\gamma} + \frac{u_2^2}{2g} + h_{(1+2)}$$
- ☐ d.
$$z_1 + \frac{p_1}{\rho} + \frac{u_1^2}{2g} = z_2 + \frac{p_2}{\rho} + \frac{u_2^2}{2g}$$

კითხვა **12**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v2 (latest)

ბერნულის განტოლებაში ფარდობა $\frac{p}{\rho g}$ (ან $\frac{p}{\gamma}$) წარმოადგენს:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. წნევას ნაკადის ღერძის გასწვრივ
- ☐ b. ჭარბი წნევის ძალას
- ☐ c. პიეზომეტრიულ სიმაღლეს
- ☐ d. პიეზმეტრიულ წირს

კითხვა **13**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სასრული ზომის რეალური ნაკადები:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. ერთგანზომილებიანია.
- ☐ b. არ შეიძლება იყოს ორგანზომილებიანი.
- ☐ c. არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- ☐ d. არ შეიძლება იყოს ერთგანზომილებიანი.

კითხვა **14**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

პიოზომეტრიული ქანობი დადებითი სიდიდეა:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. პიოზომეტრიული ქანობი ყოველთვის დადებითი სიდიდეა.
- ☐ b. პიოზომეტრიული ქანობი ყოველთვის უარყოფითი სიდიდეა.
- ☐ c. შევიწროებადი ნაკადისათვის.
- ☐ d. გაფართოებადი ნაკადებისათვის.

კითხვა **15**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დაწნევის დანაკარგები გამოწვეულია:

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. ნაკადში წინაღობის ძალების არსებობით.
- ☐ b. სითხის ნაწილაკების ერთმანეთთან და კედლებთან შეჭიდულობის არქონის გამო.
- ☐ c. მილსადენის დიამეტრის გაზრდით.
- ☐ d. ნაკადში წნევის ძალების არ არსებობით.

კითხვა **16**

ჯერ პასუხგაუცემელი

გამონგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

გამოთვალეთ დაწნევის სიგრძეზე დანაკარგი მეტრებში სითხის ტურბულენტური მოძრაობისას შემდეგი პირობებისთვის: $\lambda=0,02$; $R=0,5\text{მ}$; $L=200,0\text{მ}$; $v=3\text{ მ/წმ}$.

აირჩიეთ ერთი:

- ☐ a. 0,09 მ.
- ☐ b. 0,92 მ.
- ☐ c. 1,5 მ.
- ☐ d. 1 მ.

◀ დამატებითი გამოცდა-გამოყენებითი ჰიდროაერომექანიკის საფუძვლები. I
სემესტრი 2025-2026 წელი (hidden)

გადახტი შემდეგზე...

წიმუში 2 (hidden) ▶